

# მშვიდობა, შრომა, მაისი

**მსოფლიო** პროლეტარიატის სოლიდარობის, გაზაფხულის, შრომისა და სიჭაბუკის დღესასწაული 1 მაისი ფართოდ აღინიშნა დედამიწის ყოველ კუთხეში. განსაკუთრებული გრანდიოზულობით გამოირჩეოდა წლევანდელი მაისობა ჩვენი სამშობლოს გულში მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში.

საქართველოს დედაქალაქში საპირველმაისო ზეიმის ცენტრი გახდა ქალაქის ახალი მთავარი მოედანი. ტრიბუნის წინ სხვებთან ერთად ამაყად ჩაიარეს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებმა, ფიზკულტურელებმა, სპორტსმენებმა.

ზეიმზე გამოსულმა ადამიანებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საპირველმაისო ზეიმი ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობის დემონსტრაციად.

* * *

**სურათებზე:** მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია მოსკოვში; ფიზკულტურელები და სპორტსმენები თბილისის მთავარ მოედანზე.

**საკდესისა და ა. კოტორაშვილის ფოტოები.**




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 85 (7396)

4 მაისი, 1983 წ. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან














# საჩუქრები — სადღესასწაულოდ

## ქუთაისი

**გაიხარეს** ქუთაისელმა ახალგაზრდებმა. აქ მწყობრში ჩადგა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. იგი ორი კორპუსისაგან შედგება. ერთში მოთავსებულია 25-მეტრიანი საცურაო აუზი, საჭყუმპალაო ნორჩი მოცურავეებისათვის, სპორტული თამაშებისა და ტანვარჯიშის დარბაზი. მეორე კორპუსშია ჩოგბურთის კორტები ორი სათამაშო მოედნით. მომიჯნავე ტერიტორიაზე მოწყობილია აგრეთვე ჩოგბურთის ღია კორტები. ყველა დარბაზი აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით, არის გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო ცენტრი.

## ფოთი

**შესანიშნავი** საჩუქარი მიიღეს საპირველმაისოდ ფოთელმა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა. აქ საზეიმოდ გაიხსნა სტადიონი, რომლის რეკონსტრუქციისათვის უდიდესი სამუშაოები ჩაატარა „კოლხეთმშენის" სახელოვანმა კოლექტივმა. აქ მოეწყო სადრენაჟო კოლექტორული არხები, მთლიანად გადაკეთდა სადრენაჟო სისტემა, შეიცვალა მოედნის საფარი. მოედანზე მოზიდეს 4.000 კუბური მეტრი მიწა, რის შედეგად იგი 70 სანტიმეტრით ამაღლდა. მალე მწყობრში ჩადგება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი აღდგენითი ცენტრი, კეთილმოწყობილი სასტუმრო. აქვე გაიხსნება ფიზკულტურის დისპანსერი, მწყობრში ჩადგება სარწყავი სისტემა არტეზიული ჭით, მოეწყობა მძლეოსნური სარბენი ბილიკები.

პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს მომავალში გაიზარდოს ადგილების რაოდენობა, მოეწყოს სათადარიგო მოედანი და მარტივი ტიპის სპორტული მოედნები.

ამ საშური საქმისათვის იღვაწეს „კოლხეთმშენის" № 2 ტრესტის მოძრავი მექანიზებული სამმართველოს კანტორის თანამშრომლებმა (ტრესტის მმართველი ბ. ინასარიძე), ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის (დირექტორი ნ. ჩხარტიშვილი), პროფტექნიკური სასწავლებლის (დირექტორი ვ. ნარმანია) მოსწავლეებმა, ტრესტ „კოლხეთმშენის" ავტოსატრანსპორტო საწარმოს (უფროსი გ. ჭავჭანიძე), „საქსოვქიმიის" გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს (ხელმძღვანელი ო. ჯაბუა), „კოლხეთმშენის" № 2 მექანიზებული კოლონის სამშენებლო სამმართველოს, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მე-4 ტრესტის სარემონტო კანტორის თანამშრომლებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებმა, ფიზკულტურელებმა, სპორტსმენებმა.

30 აპრილს ახალ სტადიონზე დიდი სპორტული დღესასწაული გაიმართა, რომელიც საფეხბურთო მატჩით დამთავრდა.

**ლ. ხეცურიანი,**
**(„ლელოს" სპეც. კორ.).**

# მეცხრამეტედ!

**გფრ-ის** ქალაქ მიუნხენში დამთავრდა ჰოკეისტთა გუნდების მსოფლიო პირველობა. ბოლოსწინა მატჩში საბჭოთა ჰოკეისტებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან — 1:1, ხოლო კანადელებმა სძლიეს შვედებს 3:1. ბოლო მატჩის წინ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს 3-3 ქულა ჰქონდათ, ამიტომ ყველაფერი ბოლო მატჩებს უნდა გადაეწყვიტა. როცა ყინულის მოედანზე სსრ კავშირისა და კანადის გუნდები გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელებს უკვე მოგებული ჰქონდათ შეხვედრა შვედებთან (4:1) და ბოლო მატჩის შედეგს ელოდნენ. საბჭოთა გუნდმა კანადელებთან მატჩი აღმავლობით ჩაატარა და დამაჯერებლად გაიმარჯვა (8:2). ამრიგად, ჩეხოსლოვაკიელებს და საბჭოთა ჰოკეისტებს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ და რაკი ბურთების შეფარდება საბჭოთა გუნდს უკეთესი აღმოაჩნდა, ჩემპიონობაც მას მიეკუთვნა.

**საბოლოო ცხრილი**

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 0 | 13—8 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 0 | 10—6 | 5 |
| კანადა | 1 | 0 | 2 | 9—14 | 2 |
| შვეცია | 0 | 0 | 3 | 2—11 | 0 |



## მოსაზრებანი საქართველოს პარტიულ-სამეურნეო და ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის კრების წინ

# შევქმნათ საბაზო ცენტრები

ამ წერილში მინდა ვისაუბრო ჩვენი რესპუბლიკის ცალკეული რეგიონებისთვის სპორტის სახეობების სპეციალიზაციისა და ე. წ. საბაზო ცენტრების შექმნის საკითხზე. აქვე შევნიშნავ, რომ შესაძლოა ჩემი ზოგიერთი მოსაზრება სპეციალისტებს სადაოდ მოეჩვენოთ. როგორც ცნობილია, ახლო მომავალში რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო და ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის კრება უნდა ჩატარდეს. ამიტომ საჭიროდ ვცანი ჩემი წინადადებები მკითხველებისთვის გამეზიარებინა. იმედია, ამ საკითხზე სპეციალისტებიც გამოთქვამენ თავიანთ აზრს.

ხშირად ხდება ხოლმე: ამა თუ იმ სახეობის ბუმი უეცრად დასცემს მანამდე პოპულარული სახეობის აქციებს, რაც არა მარტო მასობრიობაში, არამედ ხარისხშიც იჩენს თავს. მაგალითისთვის ჰოკეის მოვიტან. გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ ერთ-ერთ ნომერში აღნიშნავდა, რომ ბავშვები ფეხბურთის ნაცვლად ხალისით ეწერებიან ჰოკეის სექციებში. მე მეჩვენება, რომ არცთუ ისე დიდი ქალაქისთვის, როგორიც ქუთაისია, საკავშირო არენაზე სპორტის სამ სახეობაში — ფეხბურთში, რეგბიში და ბალახის ჰოკეიში გუნდების გამოყვანა არ უნდა იყოს ხელსაყრელი. ყველასათვის კარგადაა ცნობილი ქუთათურთა წვლილი ქართული ფეხბურთისა და კალათბურთის განვითარებაში. ხომ არ აჯობებდა, რომ ქუთაისში აქცენტი სწორედ „მრავალნაცად“ ფეხბურთზე და კალათბურთზე გადაგვეტანა და „გაგვეთავისუფლებინა“ იგი ბალახის ჰოკეისა და რეგბისაგან? არა და, თუკი მრავალმილიონიანი მოსკოვის წინაშე ასე მწვავედ დგას აღნიშნული პრობლემა, ქუთაისი როგორ გასწვდება სპორტის ამდენ სახეობას, ეყოფა ბავშვთა კონტინგენტი? ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა რეგბი კახეთის რომელიმე ქალაქში, ვთქვათ თელავში და გურჯაანში, ან კიდევ ქართლში, მაგალითად ქალაქ გორში დაგვენერგა. აქაური ხალხი სწორედ დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩევა და მათ კარგად „მოერგებოდა“ სპორტის ეს სახეობა. ტრადიციაც ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს: ქართლში თუ კახეთში აღზრდილან დიდი მოჭიდავეები, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები, მაგრამ ფეხბურთში რაიმე სერიოზული წარმატება ამ რეგიონებს არ ჰქონიათ. თავად განსაჯეთ, გორში, თელავში, გურჯაანში, ლაგოდეხში არის შესანიშნავი საფეხბურთო ბაზები, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ რეგიონს თბილისის „დინამოსათვის“ თითქმის არ მიუცია რამდენადმე ცნობილი ფეხბურთელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გ. ჩოხელს.

ყოველივე ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ჩვენი ხალხი ძალზე მრავალფეროვანია ისე, როგორც ჩვენი ბუნება. ფაქტია, რომ ფეხბურთს უკეთ თამაშობენ იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, აფხაზეთში; როგორც აღვნიშნეთ, უკეთ ჭიდაობენ კახეთში და ქართლში, ბუნებრივი ნიჭით გამორჩეული ალპინისტები იზრდებიან სვანეთში, ცხენოსნობა წარმატებით დაინერგებოდა სამეგრელოს რაიონებში, მთა-თუშეთში და ა. შ.

ამრიგად, ლაპარაკია ერთგვარ სპეციალიზაციაზე. ასეთი რამ საკავშირო მასშტაბითაც ადვილად შეიმჩნევა. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მიდრეკილება აქვთ კალათბურთისა და მოტოსპორტისკენ, ამიერკავკასიაში — ფეხბურთისა და ჭადრაკისკენ, ჩრდილოეთ კავკასიაში — ჭიდაობისკენ, შუა აზიაში —კრივისკენ და ა. შ.

ასეთი სპეციალიზაციის მიზნით კარგი იქნებოდა სამხრეთ საქართველოს რეგიონისათვის (ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, ადიგენი) შეგვერჩია, მაგალითად, ბალახის ჰოკეი და საბაზო მხარედ გადაგვექცია იგი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ რეგიონში საერთოდ სპორტის განვითარების დონე ძალზე დაბალია და ბალახის ჰოკეის მოედნების აგება, სექციების გახსნა და შეჯიბრების ჩატარება შესამჩნევად გამოაცოცხლებდა სპორტულ ცხოვრებას.

რეგბისა და ბალახის ჰოკეისაგან „გამოთავისუფლებულ“ ქუთაისში შეიძლებოდა შეგვექმნა საკავშირო პირველობის მონაწილე კალათბურთისა და ფეხბურთის მეორე გუნდები. არცთუ ისე შორეულ წარსულში „ბ“ კლასში ქუთაისს ჰყავდა შესანიშნავი გუნდი „იმერეთი“, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის სამოციან წლებში „ტორპედოს“ აღორძინების საქმეში. ასეთი გუნდი იქნებოდა „ტორპედოს“ ერთგვარი დასაყრდენი, სადაც სტაჟირებას გაივლიდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები. თუ ეს საკითხი გადაიჭრება, მაშინ ბევრი ნიჭიერი ქუთაისელი ფეხბურთელი, რომელიც „ტორპედოში“ ვერ მოხვდება ბედის საძიებლად, სხვა ქალაქში აღარ წავა, ან საერთოდ ხელს არ ჩაიქნევს ფეხბურთზე და უკვალოდ არ დაიკარგება. როგორც ზემოთ ითქვა, რეგბის და ბალახის ჰოკეის სხვაგან გადატანის შემთხვევაში „გამოთავისუფლდებოდნენ“ ის ორგანიზაციებიც, რომლებიც ფინანსურ დახმარებას გაუწევდნენ „იმერეთს“.

იგივე შეიძლება ითქვას თბილისზეც. საკავშირო პირველობებზე უმაღლეს ლიგაში გამომავალი გუნდები ჰყავს ბევრ ქალაქს (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი. ოდესა და სხვა). თბილისში კი ვერა და ვერ მოვაბით თავი მეორე გუნდის ჩამოყალიბებას, რომელიც მეორე ლიგაში მაინც იასპარეზებდა. ნუთუ შეუძლებელია თბილისის გუნდების — „ლოკომოტივის“, „ავტომობილისტის“, „სპარტაკის“, „ავიატორის“ უღიმღამო გუნდების გაერთიანება და ძლიერი კოლექტივის შექმნა?

ეს ეგრეთწოდებული სპეციალიზაცია რასაკვირველია იმას როდი ნიშნავს, რომ ქუთაისში რეგბი და ხელბურთი, ახალციხეში ფრენბურთი და ჭადრაკი, კახეთში ფეხბურთი და კალათბურთი აიკრძალოს. რასაკვირველია არა, მაგრამ ვიმეორებ, სასურველია ამა თუ იმ კუთხის მკვიდრთა ბუნების, მონაცემების და ინტერესების შესაბამისად შევარჩიოთ სპორტის რომელიმე საბაზო სახეობა (ან სახეობები) და სწორედ მასზე გადავიტანოთ ძირითადი აქცენტი.

**ო. ჩხეიძე,**
**საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე, ბორჯომის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.**



# „ბუდაპეშტის“ ხალიჩაზე

„ლელო“ ინტერვიუ

**ევროპის** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა XXVI ჩემპიონატის შედეგები სპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი. უნგრეთის დედაქალაქის „ნეპშტადიონის“ კომპლექსის ახალაგებულ „ბუდაპეშტის“ დარბაზის ხალიჩაზე უძლიერესი იყო ბულგარეთის გუნდი. საბჭოთა ნაკრები, რომელშიც ორი ქართველი მოჭიდავე (დ. გიგაური და გ. მაკასარაშვილი) შედიოდა, მეორე ადგილს დასჯერდა.

თავად ფაქტი, რომ თითქმის ათწლიანი შესვენების შემდეგ ქვეყნის პირველი გუნდის ღირსების დაცვა ჩვენს ორ მოჭიდავეს მიენდო, მრავლისმეტყველია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში, ჭიდაობის შესანიშნავი ტრადიციებით მდიდარ ქვეყანაში, სადაც ამ სახეობაში დროებითი ჩავარდნა იგრძნობოდა, დღეს უკვე საქმე უკეთესადაა. ნაკრებში ხალიჩის მართლაც ნამდვილი ოსტატები მოხვდნენ. ასპარეზობის დაწყებამდე ორივე ფალავანი ოქროს მედლის რეალურ პრეტენდენტად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოჭიდავეები გამარჯვებულთა კვარცხლბეკის მხოლოდ მესამე საფეხურზე დადგნენ.

ჩემპიონატიდან დაბრუნებისთანავე გიგაურიცა და მაკასარაშვილიც რედაქციაში გვეწვიუნენ და გვიამბეს თუ როგორ წარიმართა „ბუდაპეშტში“ ორთაბრძოლები და რა იყო იმის მიზეზი, რომ მათ მხოლოდ „ბრინჯაო“ ერგოთ.

— ჯერ კიდევ ასპარეზობამდე, — თქვა დ. გიგაურმა — ნაკრების წევრებს, მინსკის მახლობლად, საიკის საკავშირო სპორტკომიტეტის ბაზაზე რომ ვემზადებოდით, ავადმყოფობამ დაგვრია ხელი და გამგზავრების წინ თითქმის ყველას მაღალი სიცხე გვქონდა. ტემპერატურის დასაგდები აბის მიღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რადგან იგივე ასკოფენი, პენტალგინი, ანალგინი კოფეინისა და სხვა ალმგზნებ საშუალებათა გარკვეულ რაოდენობას შეიცავს და ორგანიზმში სულ ცოტა 10 დღეს მაინც რჩება. ეს კი ძალზე სარისკო იყო, რადგან ასპარეზობაზე, რომელიც კარს იყო მომდგარი, დოპინგის კომისია გაგვსინჯავდა, მიდი და უმტკიცე შენ მხოლოდ გრიპის წამალი დავლიე. ბედად თან გვახლდნენ ჩვენი მწვრთნელები მ. ოსიყმაშვილი და ვ. მესტვირიშვილი, რომლებმაც მამა-პაპური საშუალება გაიხსენეს — ძმრითა და არყით გვიზელდნენ ტერფებს და მერე შალის წინდებს გვაცმევდნენ. ამან ცოტა მოგვამჯობინა, მაგრამ ტურნირის დღეებში ყველანი სუსტად ვგრძნობდით თავს. ასე იყო თუ ისე, სხვა გზა არ იყო, უნდა გვეჭიდავა. სხვათა შორის, ბუდაპეშტში ჩვენთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო კიდევ ერთი ქართველი მოჭიდავე გ. ყურაშვილი, მაგრამ თავისი დაუდევრობის გამო ვერ წამოვიდა. მარტო იმის თქმა, რომ უნგრეთში მეტად პოპულარულიაო ჭიდაობა, რა თქმა უნდა, სრულად ვერ ასახავს იმ სურათს, რასაც ყოველდღე ვხედავდით „ბუდაპეშტის“ შესასვლელთან. ეს ახლადაგებული ვრცელი სასახლე ვერ იტევდა ყველა მსურველს. მაყურებელი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჩვენი მოჭიდავეების გამოსვლის მიმართ. ამ ინტერესს აღვივებდა ის, რომ ასპარეზობის დაწყებამდე სპორტული გაზეთი „ნეპშპორტი“ წერდა, რომ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ი. იარიგინმა „გუნდი-გამოცანა“ ჩამოიყვანაო. და მართლაც, ვარნის შარშანდელი ჩემპიონატის მონაწილეთაგან, რომლებმაც ბრწყინვალედ მოიგეს ის პირველობა, მხოლოდ პ. ნანიევი იყო კოლექტივში. გაზეთმა გამოაქვეყნა, აგრეთვე, ევროპის უძლიერეს მოჭიდავეთა კლასიფიკაცია. ამ ათეულებში მოხვედრილ საბჭოთა სპორტსმენთაგან ბუდაპეშტში მხოლოდ ოთხს უნდა გვებრძოლა კონტინენტის ჩემპიონატის ხალიჩაზე.

კლასიფიკაციით ლენინგრადელი პიოტრ ნანიევი მეოთხე ადგილზეა, მე მეშვიდეზე, მახაჩყალელ რუსულან ყარაევი და ორჯონიკიძელი ვლადიმერ ძუგუტოვი კი მეათე ადგილებზე. ასპარეზობა წარმატებით დავიწყე და ზედიზედ ორი შეხვედრა მოვიგე. მესამედ უნდა შევბრძოლებოდი ბულგარელ კამენ პენევს, რომელსაც პრიზიორობის პრეტენდენტადაც კი არავინ მიიჩნევდა. დაიწყო თუ არა ჩვენი შეხვედრა, მეტოქემ... მხრის ამოგდების სცენა გაითამაშა. მის სიმულაციაში მაშინ დავრწმუნდი, როცა ორწუთიანი მანჭვა-გრეხის და ლეიბზე კოტრიალის შემდეგ შეხვედრის გაგრძელება მოისურვა. თუ მხარი ამოგივარდა, ბრძოლას ველარ გააგრძელებ. მაგრამ ამით პენევმა საწადელს მიაღწია — ერთგვარად გამომთიშა და გამინელა ჭიდაობის სურვილი. აბა, მხარამოგდებულ კაცს როგორღა ვებრძოლო-მეთქი, ვფიქრობდი. ვერაფრით ველარ მოვახერხე ხელახლა განმეწყო ჩემი თავი საბრძოლველად, ერთობ დუნედ ვმოძრაობდი და შეხვედრა წავაგე — 3:4. პენევმა ფინალისაკენ გაიკაფა გზა, იქ თურქ მოჭიდავეს სძლია და პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი.

— ამ ტურნირში გამოსასვლელად მეც მთელი პასუხისმგებლობით ვემზადებოდი, — თქვა გ. მაკასარაშვილმა, — რადგან კარგად ვიცოდი თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩემს გამარჯვებას საერთოდ ქართული ჭიდაობისათვის. ჩვენ ხომ კარგა ხანს მოკლებულნი ვიყავით შესაძლებლობას საერთაშორისო სარბიელზე გვეჩვენებინა ჩვენი ძალა.

პირველი შეხვედრა შვეიცარიელთან დიდი უპირატესობით წარვმართე, ჯერ 9 ქულით დავწინაურდი, შემდეგ წმინდადაც გავიმარჯვე. მომდევნო მეტოქე თურქი ყარაბაჩაგი იყო. გონგის ხმას 30 წამიღა აკლდა, ანგარიში იყო 2:0 ჩემს სასარგებლოდ. ამ დროს ყარაბაჩაგი ფეხში შემომივარდა. — ბრძოლა თითქმის დამთავრებულია და არ ღირს გავრისკო, ქულას მივცემ-მეთქი, ვიფიქრე. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ თურქმა მხოლოდ ქულიანი შეტევა განახორციელა. ამ აზრისა იყო ორი გვერდითი მსაჯიც, რომლებმაც ერთი ქულა მიანიჭეს ჩემს მეტოქეს, მაგრამ შეხვედრის არბიტრმა შეაცვლევინა მათ გადაწყვეტილება და თურქის ილეთი ორ ქულად შეაფასებინა. მწვრთნელებმა გააპროტესტეს ასეთი გადაწყვეტილება და სააპელაციო ჟიურიმ ვიდეოჩანაწერი მოითხოვა. სამწუხაროდ, დარბაზში ერთადერთი ვიდეომაგნიტოფონი აღმოჩნდა, რომლის ოპერატორს სწორედ ჩვენი შეხვედრის 5.30 წუთზე ნანიევ-ნოიპერტის (გდრ) შეხვედრაზე გადაურთავს აპარატი და ფირზე არ აღუბეჭდია ჩვენი ჭიდაობის ბოლო 30 წამი. დღეს ჭიდაობაში ფრე აღარ არსებობს და რადგან ბოლო ილეთი თურქის იყო, გამარჯვებაც მას მიენიჭა...

ამ ახალგაზრდა მოჭიდავეებს, ჯერ ყველაფერი წინა აქვთ. მომავალი წარმატებები გადაწყვეტს კვლავ მიიხმობენ თუ არა მათ ნაკრების რიგებში. ისინი ქართველ გულშემატკივრებს ჰპირდებიან, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ იმისთვის, რათა კვლავაც დაამტკიცონ თავიანთი სიძლიერე, დიდება და სახელი დაუმკვიდრონ ქართულ ჭიდაობას.

**უ. ჰიჰინაძე.**

• • •

**სურათზე: გ. მაკასარაშვილი (მარცხნივ) და გ. გიგაური „ლელოს“ რედაქციაში.**
**გ. ხანაიას ფოტო.**

### მეორე გუნდური

**ამას წინათ** ქალაქ მურმანსკში გაიმართა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში იუნიორებს შორის.

წარმატებით გამოვიდა 40-მეტრიან ტრამპლინზე 16 წლის ბაკურიანელი ოსტატობის კანდიდატი ვალერი იარემოვი (მწვრთნელი ბ. ქუმარიტაშვილი). 202,8 ქულით მან პირველობა მოიპოვა.

ამავე ტრამპლინზე ასპარეზობდა ჩვენი რესპუბლიკის კიდევ სამი წარმომადგენელი. აი, მათი შედეგები: VI — იბრაჰიმ გობოზოვი, XIV—დავით დიაკონაშვილი, XX — კახა წაქაძე. ყველა სპორტსმენი ბაკურიანელია, ვარჯიშობს მწვრთნელ ზ. თვაურის ხელმძღვანელობით.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს დინამოელებმა 7 კოლექტივს შორის მეორე ადგილი დაიკავეს.

**„ლელოს“ კორ.**

### წოდებათა მინიჭება

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით **„საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის“** წოდება მიენიჭათ:

**ფეხბურთში** — ზორბეგ ებრალიძეს, ანზორ სიამაშვილს, მიხეილ ლოსაბერიძეს, ჯემალ ხერხაძეს (ყველა — „განთიადი“, ქუთაისი).

საკავშირო სპორტკომიტეტმა **„საკავშირო კატეგორიის მსაჯის“** წოდება მიანიჭა:

**კრივში** — ალეკო გვარამიას („ბურევესტნიკი“, სოხუმი).

**ძალოსნობაში** — ვლადიმერ რასპუტინს („განთიადი“, თბილისი).

**„საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის“** წოდება მიენიჭათ:

**აკრობატიკაში** — ფატი სულაქველიძეს („შრომითი რეზერვები“, თბილისი),

**ტყვიის სროლაში** — ვალენტინ ხალეცკის („დინამო“, სოხუმი).

**„სპორტის ოსტატის“** წოდება მიენიჭათ:

**აფროსნობაში** — მიხეილ გორბუნკოვს („ვოდნიკი“, ბათუმი).

**რეგბიში** — ვახტანგ კაპანაძეს („კოლმეურნე“, თბილისი), ავთანდილ ჩოგოვაძეს, მიხეილ გოგავას, რობერტ ობოლაძეს („განთიადი“, ქუთაისი),

**სამბოში** — ნოდარ კაციაშვილს („კოლმეურნე“, კასპი).

**ძიუდოში** — ხვიჩა კანდელაკს („განთიადი“, გორი),

**თავისუფალ ჭიდაობაში** — კობა ლოჰოშვილს („განთიადი“, რუსთავი).

არკადი ეპრიკოვს („ლოკომოტივი“, თბილისი).

# 46-ე, ტური მერვე

## „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (1:0)

**კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 30 აპრილი.**

**„ნისტრუ": კუროჩკინი, ტეგლეცოვი, კარასი (ბელი, ტურიანსკი), რიბაკი, შჩერბეი, დუბროვინი, ხლოპოტნოვი, მაციურა, ბატიჩი, დუბროვნი, მარქარიანი.**

**„დინამო": აბუხერიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე (კობალეიშვილი), მუჯირი, ჯოხაძე, ხვანაძე, ხულაქველიძე, ჩქარეული, კაკილაშვილი (ცავა), შენგელია.**

**მსაჯი ი. დუდკო (ლვოვი).**

**დუბლიორები — 0:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა ყორყიკაშვილმა.**

პირველი ათიოდე წუთის თანაბარი ბრძოლის შემდეგ ინიციატივას დაეუფლნენ დინამოელები, რომლებიც ხშირად იწყებდნენ შეტევას შუა მინდორში, მაგრამ მეტოქის საჯარიმო მოედანზე ვერ პოულობდნენ მწვავე გაგრძელებას და თუ სვანაძისა და შენგელიას მიერ შორიდან დარტყმულ სახიფათო ბურთებს არ მივიღებთ მხედველობაში (ორივე შემთხვევაში კარგად ითამაშა მეკარე კუროჩკინმა), „ნისტრუს" მცველები ასწრებდნენ ხიფათის უვნებელყოფას.

თითქმის მთელი ტაიმი თბილისელების უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ კიშინიოველთა ერთ-ერთი კონტრშეტევისას, 38-ე წუთზე, ხლოპოტნოვმა ისარგებლა იმით, რომ დინამოელთა მცველებმა ვერ მოასწრეს „თამაშგარე მდგომარეობის" შექმნა, შეუფერხებლად გავიდა მათ კართან და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ „ნისტრუმ" გაათანაბრა თამაში და ახლა სტუმრების კართან შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი.

მატჩის ბოლო პერიოდში დინამოელები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს საპასუხო გოლის გატანა და გამარჯვება მასპინძლებს დაუთმეს.

## „შახტიორი" (დონეცკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0 (0:0)

**დონეცკი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 2 მაისი.**

**„შახტიორი": ელინსკასი, ვარნავსკი, სოპკო, სიმონოვი, პარხომენკო, რუდაკოვი, იაშჩენკო (პეტროვი), სოკოლოვსკი, მოროზოვი (აკიმენკო), იურჩენკო, გრაჩოვი.**

**„ტორპედო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჰილაია, ჰელიძე, კურტანიძე, ქორიძე, თავაძე, თევზაძე, კოხტავა (ბურკაძე), თვალაბეიშვილი, კვერნაძე (კეტაშვილი).**

**მსაჯი ა. ხპირინი (მოსკოვი).**

**დუბლიორები — 4:0.**

**გააფრთხილეს თვალაბეიშვილი.**

დონეცკელ მეშახტეთა გუნდი წლეულს დიდი ალმავლობით თამაშობს და ლიდერთა შორისაც იმყოფება. გავიხსენოთ „შახტიორის" გამარჯვებები მოსკოვის „სპარტაკთან" და „დინამოსთან", თბილისის „დინამოსთან" (სამივე — სტუმრად), ან დიდი უპირატესობა საკუთარ მინდორზე ერევნის „არარატთან". თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ქუთაისის ტორპედოელთა მატჩის შედეგს დონეცკში, საგანგაშო, თითქოს ბევრი არაფერია. ტორპედოელებმა თანაბარი ძალით იბრძოლეს მასპინძლებთან, არაფერი დაუთმეს მათ და რამდენიმე შემთხვევაში წარმატების მოპოვებაც შეეძლოთ მეტოქის კართან შექმნილი სახიფათო მომენტებისას. მაგრამ დასანანია ის, რომ სწორედ ამ თანაბარ ბრძოლაში შეძლეს მასპინძლებმა იმ ერთადერთი ბურთის გატანა „ტორპედოს" კარში, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა (ეს 68-ე წუთზე გააკეთა სოპკომ).

დიახ, დასანანი სწორედ ისაა, რომ ქუთაისელებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ ქულა ჩამოეტანათ შინ. მათ ეს შეეძლოთ მაშინაც კი, როცა გაშვებული გოლის შემდეგ, ბოლო წუთებზე, უაღრესად სახიფათო მომენტი შექმნეს „შახტიორის" კართან, თვალაბეიშვილს შეეძლო ბურთის გატანა, მაგრამ მეკარე ელინსკასმა თავისი გუნდი აშკარა ხიფათს გადაარჩინა.

რახან ქუთაისელი ფეხბურთელები თანაბარი ძალით თამაშობენ ლიდერთა ჯგუფში მყოფ გუნდთან და ისიც მის მინდორზე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წინამდებარე 2 ტურში საკუთარ მინდორზე ისინი ყველაფერს გააკეთებენ თავიანთი ქულათა მარაგის შესავსებად.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**მოგვყავს** სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 29 და 30 აპრილის მატჩების ტექნიკური მონაცემები:

**„დინამო" (მოსკოვი) — „ზენიტი" 1:2 (1:1).** პირველი ბურთი გაიტანა დინამოელმა მოლოდცოვმა. შემდგომში გერასიმოვმა გაქვითა გოლი და მანვე წინ გაიყვანა თავისი გუნდი.

გააფრთხილეს მოსკოველი ტერენინი და ლენინგრადელები დოლგოპოლოვი და ლარიონოვი.

დუბლიორები — 2:0.

**„დინამო" (მინსკი) — „მეტალისტი" 2:0 (1:0).** სტუმრების კარში ორივე ბურთი გაიტანა გოცმანოვმა.

დუბლიორები — 3:2.

**„შახტიორი" — „არარატი" 3:0 (1:0).** ერევნელთა კარში 2 ბურთი გაიტანა იურჩენკომ, ერთი — პარხომენკომ.

გააფრთხილეს „არარატის" ფეხბურთელები მელიქიანი და პეტროსიანი, აგრეთვე, „შახტიორის" მეკარე დეგტიარევი.

დუბლიორები — 0:1.

**„ჩერნომორეცი" — „ნეფთჩი" 2:0 (1:0).** ბურთები გაიტანეს სახნომ და ფინკმა.

გააფრთხილეს ბაქოელი გ. ალიევი.

დუბლიორები — 3:1.

**„სპარტაკი" — „ფახთაქორი" 1:0 (0:0).** ერთადერთი ბურთი 61-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა ჩერენკოვმა. ამას გარდა, სპარტაკელმა გავრილოვმა ვერ გამოიყენა პირველ წუთზე დანიშნული პენალტი.

დუბლიორები —4:1.

**„ჟალგირისი" — „დინამო" (კიევი) 0:0.**

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ა. მილჩენკო (სოხუმი), გ. გაბისკირია (სოხუმი), უ. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 0:3.

## უმაღლესი ლიგა

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

2 მაისს ცსკა-მ და მოსკოვის „ტორპედომ" ითამაშეს ფრედ— 0:0, ხოლო დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" თავის მინდორზე დაამარცხა ერევნის „არარატი" — 4:0.

**გუშინ თბილისის დინამოელები ოდესაში შეხვდნენ ადგილობრივ „ჩერნომორეცს". თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 4:1.**

ტურის სხვა მატჩების შედეგები ასეთია:

**„ჟალგირისი" — „მეტალისტი" 3:2**
**„დინამო" მნ. — „დინამო" კ. 0:0**
**„ნისტრუ" — „ნეფთჩი" 0:1**
**„დინამო" მ. — „ფახთაქორი" 0:0**



## უეფა-ს თასზე

**დღეს** ბრიუსელში, ხოლო 18 მაისს ლისაბონში გაიმართება უეფა-ს თასის ფინალური მატჩები ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებიან „ანდერლეხტი" (ბრიუსელი, ბელგია) და „ბენფიკა" (ლისაბონი, პორტუგალია).

ორივე გუნდი სადღეისოდ ევროპული ფეხბურთის ელიტას მიეკუთვნება, მათი გადამწყვეტი შეხვედრები დიდ ინტერესს იწვევს.

ფინალისკენ მიმავალ გზაზე „ანდერლეხტმა" დაამარცხა შემდეგი მეტოქეები: „კუოპიო პს" (ფინეთი) 4:0, 3:1, „პორტო" (პორტუგალია) 4:0, 2:3, „სარაევო" (იუგოსლავია) 6:1, 0:1, „ვალენსია" (ესპანეთი) 2:1, 3:1 და „ბოჰემიანსი" (ჩეხოსლოვაკია) 1:0, 3:1.

ამჟამად „ანდერლეხტი" პირველ ადგილზეა ბელგიის ჩემპიონატში და გამარჯვების საუკეთესო შესაძლებლობა აქვს. გუნდს წვრთნის ვ. ჰიმსტი.

ლისაბონის „ბენფიკამ" უეფა-ს თასის გათამაშებაში დაამარცხა შემდეგი გუნდები: „ბეტისი" (ესპანეთი) 2:1, 2:1, „ლოკერენი" (ბელგია) 2:1, 2:0, „ფკ ციურიხი" (შვეიცარია) 1:1, 4:0, „რომა" (იტალია) 2:1, 1:1, „უნივერსიტატია" (რუმინეთი) 0:0, 1:1. გუნდს წვრთნის შვედი სპეციალისტი ერიქსონი, „ბენფიკა" პორტუგალიის ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტია.

### სიტყვა და საქმე

გფრ-ის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილმა კაპიტანმა პ. ბრაიტნერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გადაწყვიტა თავი დაანებოს ფეხბურთს. დაინიშნა კიდეც მისი გამოსათხოვარი მატჩი, მაგრამ ამავე დროს ისიც ცნობილი გახდა, რომ ბრაიტნერს მხოლოდ თავისი კლუბიდან სურს წასვლა და ფარულ მოლაპარაკებას ეწევა ტურინის „იუვენტუს-ში" გადასვლის თაობაზე.

### ძოფის გადაწყვეტილება

განთქმულმა იტალიელმა მეკარემ, 41 წლის დ. ძოფმა (ტურინის „იუვენტუსი") გადაწყვიტა აღარ გამოვიდეს ეროვნულ ნაკრებში და მხოლოდ თავის კლუბში ითამაშოს.

საყურადღებოა, რომ ძოფს იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებში 111 მატჩი აქვს ჩატარებული და მსოფლიოში მხოლოდ ნორდკვისტს (შვეცია, 115 მატჩი) ჩამორჩება. ბევრი მიმომხილველი ფიქრობდა, რომ ძოფი მოხსნიდა ნორდკვისტის რეკორდს.

### თავსატეხიც ესაა!

ტურინის „იუვენტუსმა" 25 მაისს ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი უნდა ითამაშოს, 26 მაისს კი დანიშნულია იტალიის ნაკრების შეხვედრა ევროპის პირველობაზე შვედებთან. მწვრთნელი ე. ბეარზოტი რთულ მდგომარეობაშია: იტალიის ნაკრებში ხომ „იუვენტუსის" 6-7 მოთამაშე შედის!

### ფიფა გაასწრებს ფიბა-ს

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში ამჟამად 150 ეროვნული ფედერაცია შედის. კიდევ 16-მა ქვეყანამ შეიტანა განცხადება ფიფა-ში მიღების შესახებ და მისი მორიგი კონგრესის გადაწყვეტილებას ელოდება, რომელიც პარიზში უნდა გაიმართოს 1984 წელს. თუ ყველა ამ ქვეყნის შუამდგომლობა დააკმაყოფილეს, ფიფა წევრების რაოდენობით გაასწრებს ფიბა-ს (კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია) და თითქმის დაეწევა იააფ-ს (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია), რომელიც ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ფედერაციაა მსოფლიოში.

● მეკლდეურობა

## ლეღვთახევში ხალვათობა იყო

**სამ** დღეს გრძელდებოდა ლეღვთახევის მიდამოებში ქ. თბილისის პირადგუნდური პირველობა კლდეზე ცოცვაში.

წლევანდელი პირადგუნდური პირველობა კლდეზე ცოცვაში როგორღაც მოკრძალებულად ჩატარდა. ხალვათობა შეიმჩნეოდა როგორც მოასპარეზეთა, ისე მაყურებელთა შორის.

ჩვენ საშუალება გვქონდა მხოლოდ მესამე დღეს გვეცქირა ამ საინტერესო სპორტული სანახაობისათვის. ყოველ პაექრობას თავისი რიტუალი აქვს. კლდეზე ცოცვა ტრასის გაცნობით იწყება, რაც ამჯერად ლადო გურჩიანმა განახორციელა და ჩინებულადაც. საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი ლადო გურჩიანი ხომ მრავალგზის ჩემპიონია კლდეზე ცოცვაში.

იმდღევანდელ პროგრამაში წყვილთა ცოცვა ე. წ. „დონბაის ჩაბმა" შედიოდა მხოლოდ. ეს სახეობა კომპლექსურია და კლდეზე ცოცვის ელემენტების გარდა, ძირითადი და დამხმარე თოკების ზედმიწევნით სწორად ხმარებასა და წყვილთა შეხმატკბილებულ მოქმედებასაც მოითხოვს. ერთობ საინტერესო იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების ბიძინა გუჯაბიძისა და დავით ჩანტლაძის (მწვრთნელი — ლადო გურჩიანი) „ილეთების" ყურება. ამ წყვილმა დონბაის ჩაბმაში მეორე ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატობის კანდიდატების ნუგზარ დიდებულიძისა და ზურაბ ქიტუაშვილის შემდეგ. მესამე იყო ალექსანდრე კობაიძისა და ვალერი ილინჩენკოს წყვილი.

მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი — პირველი კატეგორიის მსაჯი ალექსანდრე მიქაბერიძე, თანამსაჯები — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები თამაზ ახალბედაშვილი და ლადო გურჩიანი) შეაჯამა სამივე დღის შედეგები და გუნდური პირველობა მოზარდ მთამსვლელთა სპორტული სკოლის გუნდს (დირექტორი ნოდარ კანკავა), ხოლო მეორე ადგილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს არგუნა. გოგონათა შორის წყვილთა გარბენში პირველ ადგილზე გავიდა პირველთანრიგოსანი ლია ყამარაული, ხოლო ვაჟთა შორის— სპორტის ოსტატობის კანდიდატი ნუგზარ დიდებულიძე.

— დებულების თანახმად, რაც წინა წლებში ყოველთვის ხორციელდებოდა, კლდეზე მცოცველთა ქ. თბილისის პირველობაში უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ 10-15 გუნდი, — თქვა ჩვენთან საუბარში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, თბილისის მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარემ შოთა მირიანაშვილმა, — თუ ამჯერად ბევრმა უმაღლესმა სასწავლებელმა და ორგანიზაცია-დაწესებულებამ ვერ გამოიყვანეს გუნდები, მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო წლებში თითქმის ყველგან, გარდა მოზარდ მთამსვლელთა სპორტული სკოლისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, მთლიანად ჩაშლილია ამ სახეობაში მუშაობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებათა უმრავლესობას არა ჰყავთ საკუთარი მწვრთნელები, რომლებიც ამავე დროს პასუხს აგებდნენ კლდეზე ცოცვის, სპორტის ამ სახეობის მდგომარეობასა და განვითარებაზე.

ბოლო წლებში თბილისის პირადგუნდურ პირველობასა და საქართველოს ჩემპიონატში სულ ერთი და იგივე შემადგენლობა გამოდის. გულდასაწყვეტია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტმა ვერ იქნა და ვერ დააკომპლექტა გუნდი. ამის მიზეზი ის არის, — თქვა დასასრულს შოთა მირიანაშვილმა, — რომ ინსტიტუტში ბოლო წლებში გაუქმდა ალპინიზმისა და კლდეზე ცოცვის სპეციალიზაცია.

ლეღვთახევთან დავიწყეთ და ლეღვთახევთანვე გვინდა დავამთავროთ ჩვენი თხრობა, გვინდა გავიხსენოთ თუ რარიგ შვენოდა მასობრიობა კლდეზე ცოცვას, სპორტის ამ მართლაც მამაცურ და ლამაზ სახეობას.

**ლალი გვარჯალაძე.**
„ლელოს" კორ.

## დინამოელთა იუბილეს მიეძღვნა

**200-ზე** მეტმა მონაწილემ — თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა და მათი ოჯახის წევრებმა — მიიღო მონაწილეობა ლენინის ორდენოსანი სპორტსაზოგადოება „დინამოს" 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილ დინამოელთა საქალაქო სპარტაკიადაში ფიზკულტურის კოლექტივებს შორის. შეჯიბრება სპორტის 6 სახეობაში მიმდინარეობდა. პირველ ჯგუფში უძლიერესი იყო 26 კომისრის სახელობის შინაგან საქმეთა განყოფილების (უფროსი — მილიციის პოლკოვნიკი ჯ. სხირტლაძე) კოლექტივი. მეორე ადგილზეა ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების, მესამეზე — გლდანის რაიონის გუნდი. მეორე ჯგუფში მოასპარეზეთა შორის საპრიზო ადგილებზე გავიდნენ საგზაო ზედამხედველობის სამსახურისა და საპატრულო-საგუშაგო სამსახურის კოლექტივები.

სპარტაკიადაზე თავი ისახელეს გელა კობერიძემ, გიული ჯანელიძემ, გიორგი გიგაშვილმა, თემურ, მერი და კობა ლაკიებმა, არტურ გოგოლაძემ, ჯემალ კბილაშვილმა, მერაბ ასიტაშვილმა, ალექსი დაუთაშვილმა, დარეჯან იობაშვილმა, გიორგი გოგოლაძემ და სხვა. აღსანიშნავია რომ შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული.

**გ. დოლენჯაშვილი.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: 26 კომისრის სახელობის შინაგან საქმეთა განყოფილების გუნდი.**

ავტორის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის ტურნირის ლაურეატები

● ჩოგბურთი

**თბილისში,** „დინამოს“ კორტებზე დამთავრდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი.

ასეთი შეჯიბრება ჩვენს ქალაქში პირველად ორი წლის წინათ გაიმართა. ამჯერად, შედარებით „გაახალგაზრდავებული“ ასპარეზობა (სპორტსმენთა ასაკი 18 წელს არ აღემატება) ერთი კვირის წინ ტაშკენტში ჩატარებულ ანალოგიურ ტურნირთან ერთად ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარშია შეტანილი და მონაწილეებს ჩასათვლელ ქულებს აძლევს „გრან-პრისათვის“ ბრძოლაში

ალსანიშნავია, რომ ყველა პირველი ადგილი საბჭოთა ჩოგბურთელებმა დაიკავეს.

მებრძოლის შესანიშნავი თვისებები გამოამჟღავნა წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი ქალის, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელის ლარისა პრეობრაჟენსკაიას მოსწავლემ — 16 წლის მოსკოველმა ოსტატმა ვიქტორია მილვიდსკაიამ, ტაშკენტის ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულთან ნ. ბიკოვასთან ნახევარფინალური შეხვედრის პირველ პარტიას მილვიდსკაია უიმედოდ აგებდა — 0:5. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ალბათ ყველა დათმობდა პარტიას და ძალებს მომდევნო პარტიისათვის შემოინახავდა, მაგრამ მილვიდსკაიამ შეძლო ზედიზედ 6 გეიმი (!) მოეგო მეტოქისათვის.

ბუნებრივია, ბრძოლაში ასეთი გარდატეხის შეტანის შემდეგ უპირატესობა მთლიანად მილვიდსკაიას მხარეს გადავიდა და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა—7:6, 6:2.

ო. ლიფანოვასთან (მოსკოვი) ფინალურ შეხვედრაშიც თითქმის იგივე სიტუაცია გამეორდა — მილვიდსკაიამ ისევ წინ გაუშვა მეტოქე — 1:5, შემდეგ კი ანგარიში გაათანაბრა — 5:5. მართალია, პირველი ხელი მაინც წააგო, მაგრამ მალე დაეუფლა ინიციატივას და ორი პარტია მოუგო მეტოქეს. ორთაბრძოლის საბოლოო ანგარიშია 5:7, 6:3, 6:4 მილვიდსკაიას სასარგებლოდ.

ვაჟთა ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საქართველოს ჩემპიონი ვ. ხურდა და კიეველი ს. ბაკაი. ტაშკენტის ტურნირის ფინალშიც სწორედ ეს ორი ჩოგბურთელი შეხვდა ერთმანეთს. მაშინ დაძაბულ ბრძოლაში წარმატებას ბაკაიმ მიაღწია — 7:6, 6:4.

თბილისელი სპორტსმენი, ცხადია, რევანშის აღების სურვილით გამოვიდა კორტებზე.

კიეველი ჩოგბურთელი ცაციაა, აქვს ძლიერი და ზუსტი მოწოდება. ხშირად უშუალოდ მოწოდებიდან აგროვებს ქულებს. უნდა აღინიშნოს, რომ ხურდა როდი ჩამოუვარდება მას ამ რთულ ტექნიკური ელემენტის ფლობაში, გარდა ამისა, იგი უფრო მძლავრად და სწრაფად თამაშობს. მასპინძელმა თავიდანვე აქტიურად შეუტია მეტოქეს, თავს მოახვია საკუთარი ტაქტიკა და შედარებით ადვილ გამარჯვებას მიაღწია — 6:4, 6:2.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა, 17 წლის ვიქტორ ხურდამ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რ. აბჟანდაძე) მთელი ტურნირი კარგად ჩაატარა, ფინალამდე სძლია მ. კომანესკუს (რუმინეთი), ა. ნემეშს (უნგრეთი), პ. ფორტს (ჩეხოსლოვაკია) და დამსახურებულად მოიპოვა პირველობა.

ყურადღებას იქცევს 15 წლის ვლადიმერ გაბრიჭიძის მზარდი ოსტატობა. მიმდინარე სეზონში მან უკვე რამდენიმე შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი: მართალია, მერვედფინალში იგი დამარცხდა მასზე 3 წლით უფროს ა. ოიასალუსთან (ტალინი) შეხვედრაში, მაგრამ შემდეგ მოუგო ფ. ავოგარდის (იტალია), მ. ტუმას (ჩეხოსლოვაკია), ტ. რიატსეპს (ტალინი) და საბოლოოდ IX ადილზე გავიდა რაც უდავოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

გოგონებიდან მეოთხედფინალში სხვებთან ერთად ორი თბილისელიც მოხვდა — საქართველოს ჩემპიონი ი. მალაციძე და 15 წლის ლ. მესხი, მაგრამ სატურნირო ცხრილში მათ წინ წასვლა ვეღარ შეძლეს და შესაბამისად V და VI ადგილებზე დარჩნენ.

ქალთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ლიფანოვა და ბიკოვა, II ადგილზე მესხი და ლვოველი ტ. ხურდა გავიდნენ, მესამეზე—ი. მალაციძე და ი. ფატეევა (სოჭი).

ვაჟთა შეჯიბრებაში იმარჯვა რიატსეპ-სიასალუს წყვილმა. შემდეგ მოდიან ი. მერტეველი — ვ. ბაკულევი (მოსკოვი) და ფ. ავოგარდი — ფ. მალგაროლი (იტალია).

უამინდობის გამო შერეულ წყვილთა ფინალური შეხვედრა არ შედგა და მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს მალაციძე — ხურდასა და ლიფანოვა — ბაკაის წყვილებმა.

ტურნირის დღეებში თბილისში გამართულ მწვრთნელთა სემინარზე თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარა საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, საკავშირო სპორტკომიტეტის სპორტული თამაშების სამმართველოს ჩოგბურთის განყოფილების მთავარმა მწვრთნელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა სერგეი ანდრეევმა. რამდენიმე დღის წინათ თბილისში სტუმრად ჩამოსულ ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ჩვენ მივულოცეთ მას ეს საიუბილეო თარიღი და ვთხოვეთ ორიოდე სიტყვა ეთქვა შეჯიბრების შესახებ.

— ასპარეზობა მაისის დღესასწაულის შესაფერისად საზეიმო და საინტერესო გამოვიდა, —თქვა ს. ანდრეევმა. — სასიამოვნოა. რომ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად გამოვიდნენ იტალიელი ჩოგბურთელებიც. წლევანდელი ტურნირი თავისი შემადგენლობით V კატეგორიას მიეკუთვნება. იმედი გვაქვს, მომავალში აქ უფრო ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს და უფრო მაღალი კატეგორიის შესაბამისად მონაწილენიც მეტ ქულას მიიღებენ „გრან-პრის“ ჩათვლაში. ალსანიშნავია, რომ ამ ტურნირის მოწყობისთვის მეტად გაისარჯა ჩვენი სახელოვანი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, რომელიც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მუშაობაში მონაწილეობდა. თბილისისა და ტაშკენტის ტურნირები, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ჩოგბურთელებს ღია მოედნებზე უფრო ადრე გამოსვლის საშუალებას აძლევს. რაც შეეხება მონაწილეთა ოსტატობის დონეს, ვაჟების თამაშით, კერძოდ ხურდას ასპარეზობით კმაყოფილი ვარ. გოგონებმა, სამწუხაროდ, ვერ გვიჩვენეს დღევანდელი მაღალი დონის ჩოგბურთი.

ბოლოს ჩვენც გვინდა დავეთანხმოთ უკლებლივ ყველა სტუმრის აზრს, რომ ახალგაზრდა ჩოგბურთელების შემდგომი დაოსტატებისთვის მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე ეს საინტერესო ტურნირი მართლაც ჩინებულად ჩატარდა.

**ა. მალაიანცი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი,**
**გ. ახალაძე.**

* * *





**სურათებზე:** თბილისის ტურნირის ლაურეატები ვ. მილვიდსკაია და ვ. ხურდა.

**გ. ახალაძის ფოტოები.**



**საქართველოს** ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა მთავარმა რედაქციამ შემოიღო გადაცემათა ახალი ციკლი კალათბურთზე, რომლის მიზანია რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია, ბავშვთა კალათბურთის მასობრიობის ამაღლება, კალათბურთის სექციებში ნორჩი სპორტსმენების წვრთნის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და მოზარდ კალათბურთელთა დაოსტატება.

**პატივცემულო მეგობრებო!**

**დღეს, 4 მაისს 17 საათსა და 50 წუთზე საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით განმეორებით შეგიძლიათ ნახოთ „კალათბურთის სატელევიზიო სკოლის“ პირველი გადაცემა.**

გულშემატკივრებსა თუ მწვრთნელებს, ვეტერან კალათბურთელებს, ყველას, ვისაც უყვარს კალათბურთი, ვისაც აფიქრებს მისი აწმყო და მომავალი, ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქცია თხოვს გაუზიაროთ თავისი აზრი, რათა ერთად ვაკეთოთ ეს საშური საქმე.

ბარათები გამოგვიგზავნეთ მისამართით: თბილისი 71, ლენინის ქუჩა 68. ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქცია.

# პანორამა

● მაგიდის ჩოგბურთი

**ტოკიოში** მიმდინარე მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა სპორტსმენებმა წააგეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებთან 0:3. ჩინელი სპორტსმენი ქალები გადამწყვეტ შეხვედრაში ოქროს მედლებისთვის შეხვდებიან იაპონიის ნაკრებს, რომელმაც თავის მხრივ სძლია კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდი წარუმატებლად გამოვიდა გუნდურ შეჯიბრებაში და ახლა XIII-XVI ადგილებისთვის იბრძვის. ფინალში კი ერთმანეთს ხვდებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და შვეცია.

● ძალოსნობა

**ბულგარეთის** ქალაქ ვარნაში მიმდინარე ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირში „ვარნა-83“ მსოფლიო რეკორდი დაამყარა გდრ-ის სპორტსმენმა ა. ლეტცმა (56 კგ წონითი კატეგორია), რომელმაც 160,5 კგ აჰკრა. ბულგარელმა ათლეტმა ბ. ბლაგოევმა (90 კგ) ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ატაცი — 195,5 კგ, ორჭიდი — 420 კგ. ბლაგოევმა გაიმეორა საბჭოთა ძალოსან ა. საიდულაევის მსოფლიო რეკორდი: აჰკრა 228,5 კგ.

● ველოსპორტი

**საფრანგეთში** გამართულ მრავალდღიან ტრადიციულ ველორბოლაში — „ბრეტანის გრანიტის ბაბთა“, რომელშიც 10 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, საბჭოთა ველომრბოლებმა სამი პირველი ადგილი დაიკავეს. საუკეთესო იყო ი. კაშირინი.

# მეორე ადგილზე

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს საიუბილეო, X სპარტაკიადის გუნდური შეჯიბრება.

I-II ადგილები გაიყვეს მოსკოვისა და საქართველოს მოჭადრაკეებმა, რომლებმაც 40-დან 26,5-26,5 ქულა მოაგროვეს. დასკვნით, XI ტურში მოსკოველებმა სძლიეს ლენინგრადელებს — 2,5:1,5, საქართველოს გუნდმა კი სომხეთის კოლექტივს—3:1, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით მოსკოვის ნაკრებს ნახევარი ქულით მეტი აღმოაჩნდა და ჩემპიონის სახელიც მას მიეკუთვნა.

III ადგილზეა სომხეთის გუნდი — 24,5. შემდეგ მოდიან უკრაინის, უზბეკეთის (22,5-22,5), ბელორუსიის (21,5), მოლდავეთის (17,5), ლენინგრადის (16,5), რსფსრ-ს (16), ყაზახეთისა (14,5) და აზერბაიჯანის (11,5) გუნდები.

დაფებზე პირველნი იყვნენ: ოსტატი ა. კუზმინი (მოსკოვი) — 8,5 ქულა (11-დან), საერთაშორისო ოსტატი ე. უბილავა — 9,5 (11-დან), დიდოსტატი ე. გუფელდი — 6,5 (10-დან) და ფ. ხასანოვა (უზბეკეთი) — 7 (11-დან). საქართველოს გუნდის დანარჩენი წევრების შედეგი: გ. ზაიჩიკი — 7 (11-დან), ქეთევან არახამია — 5,5 (11-დან).

შეჯიბრების საზეიმო დახურვის ცერემონიალზე გამარჯვებულ გუნდებსა და მოჭადრაკეებს დიპლომები და საჩუქრები გადასცა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. ყიფიანმა.

**გ. ფამილიანცი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

● ჭადრაკი

# ლიდერები არ შეცვლილან

**გორი,** 3 მაისი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). აქ გრძელდება ნორჩ მოჭადრაკეთა (1970 წელს და შემდეგ დაბადებულთა) საქართველოს პირველობა. შეჯიბრებამ უკვე განვლო ეკვატორი—ჩატარდა შვიდი ტური.

გოგონათა ტურნირში კვლავ ლიდერობს მარინე გაგნიაშვილი (თბილისი), თუმცა VII ტურში იგი ირმა აბზიანიძესთან (წულუკიძე) დამარცხდა. მარინეს ახლა 5,5 ქულა აქვს. მას კვალში მიჰყვებიან თამილა ქორტიშვილი, იამზე თვაური, ნანა გოგორიშვილი (სამივე— თბილისი) — 5-5, მაია თათრიშვილი (გორი) — 4,5 (1) და ქეთევან კახიანი (გარდაბანი) —4,5.

ბიჭებში წაუგებლად მიიწევს წინ ლაშა ჯანჯღავა (თბილისი) — 5,5. ლიდერს ქულით ჩამორჩებიან ალექსანდრე სულავა (თბილისი) და ოლეგ სტრელნიკოვი (რუსთავი).

**ბ. ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-7,1 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07556